შპს „ქუთაისის №1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

2025 წელი

შინაარსი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება - 3

2. მოგება-ზარალის ანგარიშგება - 4

3. ფულადი ნაკადების ანგარიშგება - 5

4. კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება -6

5. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - - - - - - - - - - - - - - - - - 7

შპს ქუთაისის #1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარი)

	საბალანსო ანგარიშგება	31-12-2024	31-12-2023	31-12-2022
1	ფულადი სახსრები	115,848.34	76,582.11	187,025.00
2	მოთხოვნები მიწოდება/მომსახურებიდან	226,591.82	276,942.40	226,397.00
3	სასაქონლო მარაგი	46,407.41	46,636.75	50,624.00
3.1.	*ნედლეული და მასალები*	*46,407.41*	*46,636.75*	*50,624.00*
4	სხვა მიმდინარე აქტივები	*5,564.89*	*5,564.89*	*5,456.00*
სულ მიმდინარე აქტივები		**394,412.46**	**405,726.15**	**469,502.00**
5	ქონება, მიწა, აღჭურვილობა	2,104,831.01	2,143,602.23	2,210,201.00
5.1	*მიწის ნაკვეთები*	*530,000.00*	*530,000.00*	*530,000.00*
5.2	*შენობა-ნაგებობები*	*1,485,276.38*	*1,526,703.00*	*1,568,130.00*
5.3	*მარქანა-დანადგარები, აღჭურვილობა*	*89,554.63*	*86,899.23*	*112,071.00*
სულ გრძელვადიანი აქტივები		**2,104,831.01**	**2,143,602.23**	**2,210,201.00**
სულ აქტივები		**2,499,243.47**	**2,549,328.38**	**2,679,703.00**
6	საწესდებო კაპიტალი	52,955.00	52,955.00	52,955.00
7	სარეზერვო კაპიტალი	1,880,781.23	1,874,563.33	1,872,413.00
8	გაუნაწილებელი მოგება	350,264.22	440,603.77	604,401.00
9	დაუფარავი ზარალი (-)			
სულ საკუთარი კაპიტალი		**2,284,000.45**	**2,368,122.10**	**2,529,769.00**
10	დავალიანებები მიწოდება/მომსახურებიდან	46,682.43	35,830.31	33,777.00
11	გადასახდელი ხელფასები	139,955.66	121,731.23	99,342.00
12	საგადასახადო ვალდებულებები	28,604.93	23,644.74	16,815.00
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**215,243.02**	**181,206.28**	**149,934.00**
13	გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
სულ ვალდებულებები		**215,243.02**	**181,206.28**	**149,934.00**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**2,499,243.47**	**2,549,328.38**	**2,679,703.00**

შპს ქუთაისის #1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრი

მოგება-ზარალის ანგარიშგება

			2024 წელი	2023 წელი
სულ შემოსავალი		*ლარი*	**1,515,067.21**	**1,415,782.07**
სულ დანახარჯები			**1,605,406.76**	**1,530,039.30**
სულ საოპერაციო შემოსავალი			**1,512,553.46**	**1,406,435.09**
სულ რსთ			**84,503.17**	**83,629.81**
1	შემოსავალი სამედიცინო მომსახურების გაწევიდან		1,512,553.46	1,406,435.09
	გაწეული მომსახურების თვითღირებულება		***84,503.17***	***83,629.81***
		საერთო მოგება	**1,428,050.29**	**1,322,805.28**
2	*კომერციული, საერთო და ადმინ.-ლი ხარჯები*		***1,520,645.59***	***1,446,409.49***
2.1		შრომის ანაზღაურება (ბრუტო)	1,279,257.92	1,191,465.80
2.2		კომუნალური ხარჯები	18,380.87	18,992.46
2.3		რეკლამა, მარკეტინგი	-	-
2.4		ტრანსპორტის ხარჯები	1,393.31	1,685.60
2.5		მიკლინების ხარჯები	-	-
2.6		საკონსულტაციო ხარჯები	3,620.00	3,260.00
2.7		ცვეთა/ამორტიზაცია	72,430.16	80,150.89
2.8		სხვა ხარჯი	145,563.33	150,854.74
		საოპერაციო მოგება	**(92,595.30)**	**(123,604.21)**
3	*არასაოპერაციო შემოსავალი*		***2,513.75***	***9,346.98***
3.1		კურსთაშორის სხვაობით მიღ. მოგება	-	-
3.2		სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	2,513.75	9,346.98
4	*არასაოპერაციო ხარჯები*		***258.00***	-
4.1		კურსთაშორის სხვაობით მიღ. ზარალი	-	-
4.2		სხვა არასაოპერაციო ხარჯი	258.00	-
		მოგება დაბეგვრამდე	**(90,339.55)**	**(114,257.23)**
5	**მოგების გადასახადი**		-	-
		წმინდა მოგება	**(90,339.55)**	**(114,257.23)**

შპს ქუთაისის #1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება (პირდაპირი)			ლარი
		2024 წელი	2023 წელი
ფულადი სახსრ. პერიოდის დასაწყისში		**76,582.11**	**187,025.45**
სულ ფულადი ნაკადების შემოდინება		**1,559,129.04**	**1,405,124.44**
	შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	1,559,129.04	1,405,124.44
საოპერაციო ფულადი სახსრების გადინება		**1,498,234.23**	**1,452,476.03**
-	სასაქონლო მარაგების/ნედლეულის შეძენა	75,968.96	75,597.38
-	შრომის ანაზღაურება	1,026,502.40	952,446.23
-	კომუნალური ხარჯები	19,916.84	38,038.73
-	ტრანსპორტის ხარჯი	2,272.50	1,340.00
-	გადასახადები	256,625.60	238,011.58
-	სხვა გასავლები	116,947.93	147,042.11
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(21,628.58)**	**(13,551.75)**
-	ძირითადი საშუალებების/არამატერიალური აქტივების შეძენა	28,978.58	13,551.75
+	ძირითადი საშუალებების/არამატერიალური აქტივების გაყიდვა	7,350.00	-
-	კაპიტალური ხარჯები		
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		**-**	**(49,540.00)**
-	კურსთა შორის უარყოფითი სხვაობა	-	-
+	ბიზნესში ინვესტირებული ფული	-	-
-	დივიდენდი	-	49,540.00
წმინდა ფულადი სახსრები			
ფულადი სახსრ. პერიოდის ბოლოს		**115,848.34**	**76,582.11**

შპს ქუთაისის #1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრი

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

განზ. ერთეული: ლარი

2024 წელი	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	დაუფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი პერიოდის დასაწყისში (01.01.2024)	**52,955.00**	**1,874,563.33**	**440,603.77**	**-**	**2,368,122.10**
+ ზრდა პერიოდის განმავლობაში		6,217.90			**6,217.90**
- კლება პერიოდის განმავლობაში	-		-	(90,339.55)	**(90,339.55)**
ნაშთი პერიოდის ბოლოს (31.12.2024)	**52,955.00**	**1,880,781.23**	**440,603.77**	**(90,339.55)**	**2,284,000.45**

შპს „ქუთაისის №1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წელი

ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის №1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრი“ რეგისტრირებულია ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2008 წლის 25 მარტს (გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი: 212913276). კომპანიის მისამართია: ქალაქი ქუთაისი, ტ. ტაბიძის ქ. №23. შპს-ს დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი არის გიორგი მიმინოშვილი.

შპს „ქუთაისის №1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრის“ საქმიანობის პროფილი არის პირველადი ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების გაწევა ქალაქ ქუთაისში.

წინამდებარე ანგარიშგება წარმოადგენს მხოლოდ ერთი საწარმოს - შპს „ქუთაისის №1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრის“ ფინანსურ ანგარიშგებას.

საანგარიშგებო პერიოდი

საანგარიშგებო პერიოდი არის კალენდარული წელი, რომელიც დაიწყო 2024 წლის 1 იანვარს და დამთავრდა 2024 წლის 31 დეკემბერს.

მომზადების საფუძველი

შპს „ქუთაისის №1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრის“ 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, მოგება-ზარალის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს, მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ შპს „ქუთაისის №1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრი“ უწყვეტად განაგრძობს საქმიანობას: პარტნიორი და ხელმძღვანელი არ გეგმავს მის ლიკვიდაციას, საქმიანობის შეწყვეტას, ან მისი მასშტაბის მნიშვნელოვან შეცვლას და არ არსებობს გარემოებები, რომლებიც აიძულებს მას ამის გაკეთებას.

აქტივების, ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის აღრიცხვისათვის გამოყენებულია დარიცხვის მეთოდი - ოპერაციების შედეგები და სხვა მოვლენები აღიარდება მათი წარმოშობისას/მოხდენისას (და არა ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების მიღების ან გადახდისას) და აისახება იმ პერიოდის სააღრიცხვო ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშებში, როდესაც მათ ჰქონდათ ადგილი;

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე;

საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ ადგილი არ ქონია რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას, რომელიც მოითხოვს ახსნა-განმარტებით შენიშვნებში მის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენას.

ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი. შესაბამისად, მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარებში. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები, ფინანსურ აღრიცხვაში ასახულია საანგარიშგებო ვალუტაში, ოპერაციის განხორციელების დროისათვის არსებული გაცვლითი სავალუტო კურსების შესაბამისად, ხოლო პერიოდის ბოლოსათვის არსებული ფულადი ნაშთები საანგარიშგებო ვალუტაში კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვანი დებულებები და სხვა განმარტებითი ინფორმაცია

წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა ეხება ანგარიშგებაში წარდგენილ ყველა წელს, თუ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებული რამ არ არის მოცემული.

ფულადი სახსრები

- კომპანიის ფულადი სახსრების ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, ისევე როგორც შესადარისი პერიოდის ბოლოსათვის, მოიცავს მხოლოდ კომპანიის სალაროში და ანგარიშსწორების ანგარიშზე არსებულ ნაშთებს, რომლებიც წარმოდგენილია მხოლოდ ეროვნული ვალუტის სახით, კერძოდ:

ფულადი საშუალება (GEL)	ნაშთი 01.01.2024-თვის	ნაშთი 31.12.2024-თვის
სალარო	288,53	225,99
ბანკი	76 293,58	115 622,35
სულ	**76 582,11**	**115 848,34**

- უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთები კომპანიას საანგარიშგებო, ისევე როგორც შესადარისი პერიოდის ბოლოსათვის არ გააჩნია;

აქტივების თვითღირებულება

- აქტივების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ღირებულებას და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს;

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

- შეძენილი სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო ხარჯვისას მათი შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით;
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვისათვის გამოიყენება უწყვეტი აღრიცხვის მეთოდი;
- კომპანიის არსებული მარაგები ძირითადად მოიცავს სამედიცინო მედიკამენტებს და სამედიცინო სახარჯ მასალებს; ასევე, სხვადასხვა საოფისე, საკანცელარიო და სამეურნეო მასალების ნაშთებს, რომელთა მოცულობა, მარაგების საერთო მოცულობაში არ არის არსებითი;

დებიტორული დავალიანება

- კომპანიის დებიტორული დავალიანებები როგორც საანგარიშგებო, ისე შესადარისი პერიოდისათვის, მიმდინარე მოთხოვნებია, რომლებიც წარმოიქმნა მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ბენეფიციარებისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურებით და მათი ნაშთის არსებობა ბალანსში განპირობებულია სახელმწიფოს/ჯანდაცვის სამინისტროს და მისი საქვეუწყებო დაწესებულებების მხრიდან მომსახურების ღირებულების დაგვიანებით ანაზღაურების გამო;

სხვა მიმდინარე აქტივები

- კომპანიის სხვა მიმდინარე აქტივები ძირითადად მოიცავს წინასწარ გაწეულ ხარჯებს, რომლებიც გამოყენებული იქნება მომდევნო საანგარიშო პერიოდში;

ძირითადი საშუალებები

- კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ნარჩენი ღირებულებით - თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის თანხის გამოკლებით;
- კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ნარჩენი ღირებულებით - თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის თანხის გამოკლებით. კომპანიის ძირითად საშუალებებში გამოყოფილია შემდეგი ჯგუფები: მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები და მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა, რომელიც გამოიყენება სამედიცინო მომსახურების გაწევისათვის.

	ნაშთი 31.12.2024-თვის (ლარი)	ნაშთი 01.01.2024-თვის (ლარი)
მიწის ნაკვეთი	530 000	530 000
შენობა-ნაგებობები	1 485 276,38	1 526 703,00

მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა	89 554,63	86 899,23
სულ ძირითადი საშუალებები	**2 104 731,01**	**2 143 602,23**

- ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი დარიცხვის (თანაბარზომიერი ჩამოწერის) მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად;
- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება მენეჯმენტის შეფასებით, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის ის აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. ამასთან, სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენისას მენეჯმენტის მიერ გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ოპერირების გარემო;

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

#	ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
1	მიწის ნაკვეთი	არ ერიცხება ცვეთა
2	შენობა-ნაგებობა	20-50 წელი[1]
3	სამედიცინო ინვენტარი და აღჭურვილობა	5 წელი
4	სხვა ძირითადი საშუალებები	5-10 წელი

- ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი, ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის და აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც შემოსავლები ან ხარჯები;
- ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები ემატება შესაბამისი ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას, თუ ეს ხარჯი უზრუნველყოფს მისგან მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის გაზრდას და შესაძლებელია მისი საიმედო შეფასება (კაპიტალური რემონტი). ძირითადი საშუალების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები, რომლებიც მიზნად ისახავს მისგან დაგეგმილი ეკონომიკური სარგებლის მიღებას, გაწევისთანავე აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც ხარჯი (წიმდინარე რემონტი);
- გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულების ზრდა აისახება გადაფასების რეზერვში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აკომპენსირებს წინა პერიოდში გადაფასების ზარალს. ამ შემთხვევაში ის აღიარდება პირდაპირ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში;
- გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულების შემცირება აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აკომპენსირებს წინა

[1] განმარტება: ახალი კორპუსის შემთხვევაში სასარგებლო მომსახურების ვადად განსაზღვრულია 50 წელი; ძველი კორპუსისათვის, რომელიც უკვე დაახლოებით 30 წელია იმყოფება ექსპლოატაციაში - სასარგებლო მომსახურების ვადად განსაზღვრულია 20 წელი.

პერიოდში გადაფასების რეზერვს. ამ შემთხვევაში ის აღიარდება პირდაპირ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში;

ვალდებულებები

- კომპანიის კრედიტორული დავალიანებები წარმოადგენენ მიმდინარე ვალდებულებებს, რომლებიც, წარმოიქმნა სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შემდგომი გადახდის პირობით შესყიდვის შედეგად და როგორც წესი, იფარება მომდევნო საანგარიშო პერიოდში. კრედიტორული ვალდებულებების ძირითად ნაწილს წარმოადგენს პერსონალისათვის გადასახდელი ხელფასები. მათი ნაშთის კრედიტორული ვალდებულების ფორმით არსებობა გამოწვეულია შესაბამისი დარიცხული შემოსავლების მიღების დაგვიანებით;
- თანამშრომელთა ხელფასები და სხვა ანაზღაურება - მოიცავს თანამშრომელთა ხელფასებს, საშვებულებო ანაზღაურებას და დახმარებას დროებითი შრომისუუნარობის გამო;
- საგადასახადო ვალდებულებები მოიცავს გადასახდელ საშემოსავლო გადასახადს, რომელიც დარიცხულია გასაცემ ხელფასებზე და მათი დაფარვა მოხდება ხელფასების გაცემის შესაბამისად.

კრედიტორული ვადებულებების სტრუქტურა

#	ვალდებულების სახე	ნაშთი 31.12.2024-თვის (ლარი)	ნაშთი 01.01.2024-თვის (ლარი)	სტატუსი
1	ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	46 682,43	35 830,31	მიმდინარე
2	ვალდებულებები პერსონალის მიმართ (გადასახადელი ხელფასი)	139 955,66	121 731,23	მიმდინარე
3	საგადასახადო ვალდებულებები	28 604,93	23 644,74	მიმდინარე

კომპანიის კაპიტალი

- კაპიტალი წარმოადგენს სხვაობას აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებებს შორის. ის მოიცავს დამფუძნებლის შენატანებს (საწესდებო კაპიტალს), სარეზერვო კაპიტალს და კაპიტალის ნაზარდს, რომელიც წარმოიქმნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობის შედეგად და რჩება კომპანიას საოპერაციო საქმიანობისათვის, დამფუძნებლისათვის დივიდენდების გადახდის შემდეგ;
- კომპანიის სარეზერვო კაპიტალი შექმნილია კომპანიის ძირითადი საშუალებების აფასების საფუძველზე.

შემოსავლების და ხარჯების აღიარება

- შემოსავლის აღიარება ხდება მომსახურების გაწევის შემდეგ დარიცხვის მეთოდის გამოყენებით;
- კომპანიის შემოსავლების ძირითად წყაროს (საოპერაციო შემოსავალს) წარმოადგენს სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები;
- კომპანიის შემოსავლებში/ხარჯებში აღიარდება არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები/ხარჯები, მათ შორის ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ფინანსური შედეგები, უსასყიდლოდ მიღებული სხვადასხვა სახის სამედიცინო მასალები;
- კომპანიის ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით;

დაბეგვრა

- კომპანიის მიერ გადასახადების დარიცხვისას და გადახდისას, გათვალისწინებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები;
- კომპანია, როგორც სამედიცინო მომსახურების გამწევი გადასახადის გადამხდელი, გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდისაგან ჩათვლის უფლების გარეშე და სამედიცინო საქმიანობისათვის გამოყენებული ქონების, მ.შ. მიწის გადასახადისაგან;
- კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელის“ შესაბამისად;
- საშემოსავლო გადასახადით იბეგრება თანამშრომელთა ანაზღაურება.

შპს „ქუთაისის №1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორი

/გ. მიმინოშვილი/